



Tax • Audit • Consulting

შპს ბ & ჯ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბ & ჯ-ის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ბ&ჯ-ისა და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფს არ მოუხდენია შეძენილი (კონტროლის ქვეშ მყოფი) ორი კომპანიის ნეტო აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით, შედეგად, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოების აქტივები და ვალდებულებები და ჯგუფის გუდვილი არ არის წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულებით. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გუდვილის საბალანსო ღირებულება შეადგენს 19,401,295 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 21,728,467 ლარს).

2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების საბალანსო ღირებულება შეადგენს 298,258 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 7,019,075 ლარს).

2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, რომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთი ზუსტად და უტყუარად ასახავს არსებულ მდგომარეობას.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეადგენს 2,267,707 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 1,575,540 ლარს).

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ გუდვილთან, მარაგებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, განმარტებულია ჩვენი დასკვნის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს „კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას“, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნის გამოკლებით. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და

- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე “მსს ფასს”-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;

- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა ჯგუფი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

პარტნიორთა და სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

მამუკა მარდალეიშვილი
შპს თიემსი
5 ოქტომბერი, 2023
თბილისი, საქართველო



სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	5	26,320,002	34,294,719
სხვა შემოსავალი	6	3,002,716	2,611,380
გახარჯული მარაგები		(6,696,026)	(15,453,237)
პერსონალის შენახვის ხარჯები		(5,845,379)	(5,901,602)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	9	(3,463,822)	(2,715,040)
ფინანსური ხარჯები	7	(1,686,612)	(881,122)
სხვა ხარჯები	8	(8,743,947)	(5,784,599)
მოგება დაბეგვრამდე		2,886,932	6,170,499
მოგების გადასახადის ხარჯი		(107,562)	(183,835)
წლის მოგება		2,779,370	5,986,664
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,779,370	5,986,664
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)			
განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		1,031,667	4,136,748
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		1,747,703	1,849,916
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,779,370	5,986,664

დირექტორი: კონსტანტინე მანაგაძე



სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	5	26,320,002	34,294,719
სხვა შემოსავალი	6	3,002,716	2,611,380
გახარჯული მარაგები		(6,696,026)	(15,453,237)
პერსონალის შენახვის ხარჯები		(5,845,379)	(5,901,602)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	9	(3,463,822)	(2,715,040)
ფინანსური ხარჯები	7	(1,686,612)	(881,122)
სხვა ხარჯები	8	(8,743,947)	(5,784,599)
მოგება დაბეგვრამდე		2,886,932	6,170,499
მოგების გადასახადის ხარჯი		(107,562)	(183,835)
წლის მოგება		2,779,370	5,986,664
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,779,370	5,986,664
<i>წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)</i>			
<i>განკუთვნილი:</i>			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		1,031,667	4,136,748
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		1,747,703	1,849,916
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,779,370	5,986,664

დირექტორი: კონსტანტინე მანაგაძე

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	13,242,968	13,250,523
არამატერიალური აქტივები	10	219,359	231,570
გუდვილი	11	19,401,295	21,728,467
სულ გრძელვადიანი აქტივები		32,863,622	35,210,560
მარაგები	12	298,258	7,019,075
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2,267,707	1,575,540
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	623,236
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	737,899	2,777,540
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,303,864	11,995,391
სულ აქტივები		36,167,486	47,205,951
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,528,125	1,395,494
რეზერვები		1,014,432	1,014,432
გაუნაწილებელი მოგება		8,596,250	7,564,583
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი კაპიტალი		11,138,807	9,974,509
არამაკონტროლებელი წილი		3,867,514	3,713,672
სულ კაპიტალი		15,006,321	13,688,181
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	15	16,529,108	22,074,639
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	16	614,543	153,311
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,143,651	22,227,950
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	17	331,392	7,206,458
საგადასახადო ვალდებულებები	15	164,250	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		3,521,872	4,083,362
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,017,514	11,289,820
სულ ვალდებულებები		21,161,165	33,517,770
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		36,167,486	47,205,951

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი კაპიტალი	არამაკონტრო ლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,000	1,014,432	3,932,046	4,948,478	727,754	5,676,232
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	4,136,748	4,136,748	1,849,916	5,986,664
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	1,393,494	-	-	1,393,494	1,672,249	3,065,743
დივიდენდები	-	-	(504,211)	(504,211)	(536,247)	(1,040,458)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,395,494	1,014,432	7,564,583	9,974,509	3,713,672	13,688,181
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	1,031,667	1,031,667	1,747,703	2,779,370
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	132,631	-	-	132,631	(984,344)	(851,713)
დივიდენდები	-	-	-	-	(609,517)	(609,517)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,528,125	1,014,432	8,596,250	11,138,807	3,867,514	15,006,321

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2022 ლარი	2021 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	27,585,450	41,512,381
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(7,509,995)	(12,715,044)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(4,420,135)	(4,516,502)
გადახდილი გადასახადები	(2,096,271)	(19,262,011)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	13,559,049	5,018,824
ძირითადი საშუალებების (შეძენა)/გაყიდვა	(1,142,078)	(1,001,819)
ცვლილებები გაცემულ სესხებში	14,480	254,570
მიღებული პროცენტები	28,751	25,938
ცვლილებები სხვა საწარმოს მონაწილეობაში	(6,200,901)	(18,495,700)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(7,299,748)	(19,217,011)
ცვლილებები მიღებულ სესხებში	(3,157,522)	17,865,919
გადახდილი პროცენტები	(1,171,348)	(700,177)
ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	(497,367)	(431)
გადახდილი დივიდენდები	(609,517)	(1,015,247)
სხვა საწარმოს დაფინანსება	(2,600,000)	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(8,035,754)	16,150,064
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(1,776,453)	1,951,877
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(263,188)	(164,129)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,777,540	989,792
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	737,899	2,777,540

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს ბ&ჯ-ისა და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) შპს აისბერგ ფოთისა და შპს ამერიქენ მონოლითის წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „ბ&ჯ“ არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 06/01/2004. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, თევდორე მღვდლის ქ. №27.

2022 წლამდე კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენდა თამბაქოს პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია. 2022 წლიდან კი კომპანია ახორციელებს საიჯარო საქმიანობას, ასევე აქვს შემოსავლები დივიდენდების სახით შვილობილი კომპანიებისგან.

კომპანიის მფლობელობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 21.5% - ლევან კაჭარავა (16001001270);
- 7% - გიორგი კაჭარავა (01008008929);
- 21.5% - ლევან ლაფანაშვილი (01030008439);
- 21.5% - ლევან ჭიორელი (01007005859);
- 28.5% - გიორგი ჟორდანია (01007007137).

შპს ბ&ჯ-ის მიერ 2012 წელს შეძენილია შპს აისბერგ ფოთის (ს.კ.: 404879985) წილის 40, 2013 წელს 20, ხოლო 2021 წელს 10 პროცენტი;

შპს ბ&ჯ-ის მიერ ფლობილი შპს ამერიქენ მონოლითის (ს.კ.: 211383590) წილის მთლიანი მოცულობა - 70 პროცენტი შეძენილია 2021 წელს.

ორივე შვილობილი კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ფოთის პორტთან სატერმინალო და სამაცივრე-სასაწყობე მომსახურება.

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაზე სამხედრო თავდასხმამ ამ ორ ქვეყანას შორის ომი გამოიწვია, რის შედეგადაც ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს. მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში.

უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან და ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს იგი ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა თვალყურს ადევნებს შექმნილი ვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს ჯგუფსა და ზოგადად ეკონომიკაში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე შექმნილ ახალ ვითარებას ჯგუფზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. მომზადების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფი აღრიცხვას აწარმოებს და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული მეთოდები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად:

- ა) გაერთიანებულია მშობლისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;
- ბ) გამორიცხულია შვილობილ საწარმოებში მშობლის მიერ განხორციელებული ნვესტიციის საბალანსო ღირებულება და მშობლის წილი შვილობილი საწარმოების საკუთარ კაპიტალში;
- გ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი შვილობილი საწარმოს მოგებაში ან ზარალში მშობლის წილისგან განცალკევებით;
- დ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი შვილობილი საწარმოების წმინდა აქტივებში მშობლის წილისგან განცალკევებით.

3.3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ა) უცხოური ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე ჯგუფის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად ჯგუფის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც ჯგუფი თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ჯგუფი თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31.12.2022	31.12.2021
1 აშშ დოლარი / ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო / ლარი	2.8844	3.5040

ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

გ) ამონაგები და სხვა შემოსავალი

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს ფინანსურ ან/და სხვა არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს, რომლებიც მსს ფასს (IFRS for SMEs) 23-ე განყოფილების („ამონაგები“) მიხედვით არ წარმოადგენს ამონაგებს.

დ) გადასახადებიმიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფი ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ:

	სასარგებლო გამოყენების ვადა
მიწის კეთილმოწყობა	3-10 წელი
შენობა-ნაგებობები	30-50 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-10 წელი
მანქანა-დანადგარები	3-10 წელი
სასაწყობე აღჭურვილობა	3-7 წელი
სხვა ინვენტარი	3-7 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-7 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ვ) გუდვილი

საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი აღიარდება აქტივად და თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რაც განისაზღვრება საწარმოთა გაერთიანების ღირებულებიდან მყიდველი საწარმოს წილზე იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალური ღირებულების გამოკლებით. შემდგომში გუდვილი აისახება თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა თუ შეუძლებელია, იგი განისაზღვრება ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, არა უმეტეს 10 წლისა.

ზ) იჯარა

სადაც ჯგუფი არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

თ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. მარაგები ხარჯებად ტარდება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდის გამოყენებით.

ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება

გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები. არაფინანსური აქტივები, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, მიმოიხილება გაუფასურების შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს.

ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. სტანდარტის მიხედვით, მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის,

განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება, თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ ჯგუფისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5. ამონაგები

	2022	2021
	ლარი	ლარი
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	18,706,190	18,210,620
საქონლის რეალიზაცია	7,367,022	16,039,933
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(47,249)	(48,764)
შემოსავალი იჯარიდან	294,039	92,930
	26,320,002	34,294,719

6. სხვა შემოსავალი

	2022	2021
	ლარი	ლარი
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	2,559,120	1,790,184
საპროცენტო შემოსავალი*	43,279	16,908
ვალდებულების ჩამოწერა	20,616	218
მიწის ნაკვეთის რეალიზაცია	-	600,473
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	379,701	203,597
	3,002,716	2,611,380

საპროცენტო შემოსავალი* მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სასხსრებზე დარიცხულ პროცენტებს.

7. ფინანსური ხარჯები

	2022	2021
	ლარი	ლარი
პროცენტები ბანკებისგან მიღებულ სესხზე	1,158,564	727,811
პროცენტები დამფუძნებლისგან მიღებულ სესხზე	528,048	153,311
	1,686,612	881,122

8. სხვა ხარჯები

	2022	2021
	ლარი	ლარი
სატერმინალო ხარჯი	2,731,676	2,007,875
ფულადი სახსრების გასხვისება*	2,600,000	-
კომუნალური ხარჯი	1,447,247	1,442,717
მიწოდების ხარჯი	337,119	321,976
ძირ. საშუალებების რემონტის ხარჯი	295,677	265,618
საქველმოქმედო ხარჯი	267,430	9,840
საგადასახადო ხარჯი	164,222	632,968
სამეურნეო ხარჯი	152,092	211,395
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	137,481	167,654
იჯარის ხარჯი	104,814	151,430
მომსახურების ხარჯი	97,452	93,283
გაუფასურებული მარაგების ჩამოწერა	97,330	18,900
სპონსორობის ხარჯი	75,000	-
დაზღვევის ხარჯი	58,629	106,875
საკონსულტაციო ხარჯი	44,345	104,102
საკანცელარიო ხარჯი	17,491	18,474
წარმომადგენლობითი ხარჯი	10,338	9,296
ბანკის მომსახურების ხარჯი	7,432	29,431
სხვა საოპერაციო ხარჯი	76,163	188,054
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	22,009	4,711
	8,743,947	5,784,599

*იხ. კომენტარი # 18.

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მიწის კეთილმოწყობა	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	სასაწყობო აღჭურვილობა	სხვა ინვენტარი	საოფისე აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<u>თვითღირებულება:</u>										
2021 წლის 1 იანვარს	1,342,544	1,991,512	8,995,128	109,100	11,241,292	739,093	99,320	595,790	224,506	25,338,285
დამატებები	-	132,269	937,795	-	459,195	1,472	4,099	64,251	-	1,599,081
გასვლები	(352,771)	-	-	-	(42,191)	-	(220)	(44,813)	-	(439,995)
2021 წლის 31 დეკემბერს	989,773	2,123,781	9,932,923	109,100	11,658,296	740,565	103,199	615,228	224,506	26,497,371
დამატებები	-	257,939	1,250	-	779,239	-	41,307	14,084	32,926	1,126,745
გასვლები	-	-	-	(45,053)	-	-	-	-	-	(45,053)
2022 წლის 31 დეკემბერს	989,773	2,381,720	9,934,173	64,047	12,437,535	740,565	144,506	629,312	257,432	27,579,063
<u>დაგროვილი ცვეთა:</u>										
2021 წლის 1 იანვარს	-	909,735	3,157,801	67,746	7,045,028	283,553	46,729	455,536	22,672	11,988,800
ცვეთის ხარჯი	-	126,007	389,760	6,469	696,384	42,448	7,996	40,179	10,298	1,319,541
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	(35,884)	-	(162)	(25,447)	-	(61,493)
2021 წლის 31 დეკემბერს	-	1,035,742	3,547,561	74,215	7,705,528	326,001	54,563	470,268	32,970	13,246,848
ცვეთის ხარჯი	-	121,211	363,562	5,175	546,664	37,875	7,332	33,830	9,640	1,125,289
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(36,042)	-	-	-	-	-	(36,042)
2022 წლის 31 დეკემბერს	-	1,156,953	3,911,123	43,348	8,252,192	363,876	61,895	504,098	42,610	14,336,095
<u>საბალანსო ღირებულება:</u>										
2021 წლის 1 იანვარს	1,342,544	1,081,777	5,837,327	41,354	4,196,264	455,540	52,591	140,254	201,834	13,349,485
2021 წლის 31 დეკემბერს	989,773	1,088,039	6,385,362	34,885	3,952,768	414,564	48,636	144,960	191,536	13,250,523
2022 წლის 31 დეკემბერს	989,773	1,224,767	6,023,050	20,699	4,185,343	376,689	82,611	125,214	214,822	13,242,968

10. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები მოიცავს ნებართვებსა და პროგრამულ უზრუნველყოფებს.

11. გუდვილი

	შპს აისბერგ ფოთი ლარი	შპს ამერიკენ მონოლით ლარი	სულ ლარი
2021 წლის 1 იანვარს	2,772,083	-	2,772,083
გადახდილი ღირებულება	-	22,881,600	22,881,600
მირებული წმინდა აქტივები	-	(2,508,498)	(2,508,498)
ამორტიზაცია	(228,287)	(1,188,431)	(1,416,718)
2021 წლის 31 დეკემბერს	2,543,796	19,184,671	21,728,467
ამორტიზაცია	(289,862)	(2,037,310)	(2,327,172)
2022 წლის 31 დეკემბერს	2,253,934	17,147,361	19,401,295

12. მარაგები

	2022 ლარი	2021 ლარი
საძირე პადონები	217,068	316,859
სათადარიგო ნაწილები	44,353	1,513
საქონელი	10,777	6,554,359
სამშემენბლო მასალები	10,731	7,894
მზა პროდუქცია	4,249	1,509
საწვავ-საცხები მასალები	3,257	1,319
სპეც. ტანსაცმელი	2,768	1,247
ნედლეული მასალა	-	84,233
სხვა მარაგები	5,055	50,142
	298,258	7,019,075

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 ლარი	2021 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან	1,995,557	1,506,120
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	144,273	48,051
წინასწარ გადახდილი ხელფასები	127,877	21,369
	2,267,707	1,575,540

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022	2021
	ლარი	ლარი
ფული საბანკო ანგარიშებზე	736,655	2,736,481
ნაღდი ფული სალაროში	1,244	41,059
	737,899	2,777,540

15. სასესხო ვალდებულებები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	2022 ლარი	2021 ლარი
<u>გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:</u>				
გრძელვადიანი სესხები ბანკებისგან	USD	LIBOR + 5.7_6.7 %	9,355,288	16,591,887
გრძელვადიანი სესხები პარტნიორებისგან	USD	7.37%	6,933,820	5,482,752
გრძელვადიანი სესხები პარტნიორებისგან	GEL	7%	240,000	-
			16,529,108	22,074,639

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები:

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილს.

ჯგუფის მიერ მიღებული სესხები უზრუნველყოფილია:

- ჯგუფის ნებისმიერი არსებული დასამომაგლო მოძრავი ქონებითა და
- მშობელი საწარმოს საკუთრებაში არსებული 70% წილით შპს ამერიკენ მონოლითის კაპიტალში.

16. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები მოიცავს თორმეტ თვეზე მეტ ვადაში გადასახდელ საპროცენტო ვალდებულებებს, რომლებიც დარიცხულია მიღებულ სესხებზე.

17. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2022	2021
	ლარი	ლარი
ვალდებულებები მოწოდებიდან	262,539	6,432,457
მიღებული ავანსები	27,125	741,560
გადასახდელი პროცენტები	26,655	23,966
გადასახდელი ხელფასები	15,073	8,475
	331,392	7,206,458

18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
	ლარი	ლარი	ლარი
2022			
გაყიდვები	-	-	7,701,048
შესყიდვები	-	-	372,701
საპროცენტო შემოსავლები	-	-	14,480
საპროცენტო ხარჯები	505,196	-	-
გამოცხადებული დივიდენდები	609,517	-	-
გადახდილი დივიდენდები	609,517	-	-
სახელფასო ხარჯები	-	397,275	-
გადახდილი ხელფასები	-	397,275	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	40,536
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	-
სასესხო ვალდებულებები	7,173,820	-	-
საპროცენტო ვალდებულებები	584,187	-	-

*2022 წელს ჯგუფმა ურთიერთდაკავშირებულ საწარმოს უსასყიდლოდ და დაბრუნების პირობის გარეშე გადასცა ფულადი სახსრები 2,600,000 ლარის ოდენობით.

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
	ლარი	ლარი	ლარი
2021			
გაყიდვები	-	-	15,970,540
შესყიდვები	-	-	367,867
საპროცენტო შემოსავლები	-	-	777
საპროცენტო ხარჯები	145,807	-	-
გამოცხადებული დივიდენდები	1,040,458	-	-
გადახდილი დივიდენდები	1,040,458	-	-
სახელფასო ხარჯები	-	573,663	-
გადახდილი ხელფასები	-	573,663	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	18,704
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	614,590
სასესხო ვალდებულებები	5,482,752	-	-
საპროცენტო ვალდებულებები	145,807	-	-

19. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფს საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფულად სახსრებთან მიმართებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები:

	2022	2021
	ლარი	ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან	1,995,557	1,506,120
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	737,899	2,777,540
	2,733,456	4,283,660

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. ჯგუფი ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. ჯგუფი ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებები:

	2022		
	12 თვემდე ლარი	12 თვეზე მეტი ლარი	სულ ლარი
სასესხო ვალდებულებები	3,521,872	16,529,108	20,050,980
საპროცენტო ვალდებულებები	26,655	614,543	641,198
გადასახდელი ხელფასები	15,073	-	15,073
ვალდებულებები მოწოდებიდან	262,539	-	262,539
	3,826,139	17,143,651	20,969,790

	2021		
	12 თვემდე ლარი	12 თვეზე მეტი ლარი	სულ ლარი
სასესხო ვალდებულებები	4,083,362	22,074,639	26,158,001
საპროცენტო ვალდებულებები	23,966	153,311	177,277
გადასახდელი ხელფასები	15,073	-	15,073
ვალდებულებები მოწოდებიდან	6,432,457	-	6,432,457
	10,554,858	22,227,950	32,782,808

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

I. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

II. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით:

	აშშ დოლარი ლარი	ევრო ლარი	ლარი ლარი	სულ ლარი
31.12.2022				
<u>ფინანსური აქტივები:</u>				
მოთხოვნები მიწოდებიდან	1,935,441	-	60,116	1,995,557
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	542,361	-	195,538	737,899
	2,477,802	-	255,654	2,733,456
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
სასესხო ვალდებულებები	20,006,697	-	44,283	20,050,980
საპროცენტო ვალდებულებები	626,790	-	14,408	641,198
გადასახდელი ხელფასები	-	-	15,073	15,073
ვალდებულებები მოწოდებიდან	52,348	49,223	160,968	262,539
	20,685,835	49,223	234,732	20,969,790
წმინდა სავალუტო პოზიცია	(18,208,033)	(49,223)	20,922	(18,236,334)
	აშშ დოლარი ლარი	ევრო ლარი	ლარი ლარი	სულ ლარი
31.12.2021				
<u>ფინანსური აქტივები:</u>				
მოთხოვნები მიწოდებიდან	1,441,496	21,078	43,546	1,506,120
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,673,963	17,223	86,354	2,777,540
	4,115,459	38,301	129,900	4,283,660
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
სასესხო ვალდებულებები	22,787,841	-	3,370,160	26,158,001
საპროცენტო ვალდებულებები	169,332	-	7,945	177,277
გადასახდელი ხელფასები	-	-	15,073	15,073
ვალდებულებები მოწოდებიდან	6,205,694	59,796	166,967	6,432,457
	29,162,867	59,796	3,560,145	32,782,808
წმინდა სავალუტო პოზიცია	(25,047,408)	(21,495)	(3,430,245)	(28,499,148)

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე ჯგუფში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

- საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 724,070 ლარის ოდენობით;
- გამოცხადდა და გაიცა დივიდენდები 976,106 ლარის ოდენობით;
- მიღებული სესხები შემცირდა 3,911,760 ლარის ოდენობით.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 5 ოქტომბერს.

დირექტორი: კონსტანტინე მანაგაძე _____

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე ჯგუფში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:


- საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 724,070 ლარის ოდენობით;
- გამოცხადდა და გაიცა დივიდენდები 976,106 ლარის ოდენობით;
- მიღებული სესხები შემცირდა 3,911,760 ლარის ოდენობით.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 5 ოქტომბერს.

დირექტორი: კონსტანტინე მანაგაძე





შპს „ზ & ჯ“

საქმიანობის მიმოხილვა
2022 წელი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს ჯგუფთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს ჯგუფის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის. აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და ჯგუფის კომპანიებში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

2. წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „ზ&ჯ“-ს კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ ჯგუფის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსი ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობთ, რომ ჯგუფში შემავალ კომპანიებში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მიზანი, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მაღლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

3. ჯგუფის შესახებ

ჯგუფის სტრუქტურა შემდეგნაირია: შპს „ბ & ჯ“-ს(202218803) - მშობელი საწარმო, შპს „აისბერგ ფოთი“ (404879985) და შპს „ამერიქენ მონოლითი“-ს (211383590) შვილობილი საწარმოები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბ & ჯ“, ს/კ 202218803, დარეგისტრირებულია საქართველოში, 2004 წლის 6 იანვარს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.27, ხოლო ძირითადი საქმიანობის ადგილი - საქართველო, თბილისი, ტატიშვილის ქ.#13.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა 2022 წლამდე იყო თამბაქოს პროდუქტებით საბითუმო ვაჭრობა, აღნიშნული თარიღიდან კი ვახორციელებთ საიჯარო საქმიანობას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლები არიან: ლევან კაჭარავა - 21,5%; გიორგი კაჭარავა - 7%; ლევან ლაფანაშვილი - 21,5%; ლევან ჭიორელი - 21,5%; გიორგი ჟორდანია - 28,5%.

კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია კონსტანტინე მანაგაძე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აისბერგ ფოთი“ (404879985) დარეგისტრირებულია საქართველოში, 2010 წლის 28 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: - ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. #7. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამაცივრე სასაწყობო მეურნეობა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „აისბერგ ფოთის“ 70% წილის მფლობელია შპს „ბ & ჯ“, 30% წილის მფლობელი ფ/პ იგორ მარტინოვი (ყაზახეთი), დირექტორია მიხეილ სულაძე.

შპს „ამერიქენ მონოლითი“ (211383590). აღნიშნული კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 1999 წლის 18 თებერვალს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი - 211383590. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ფოთი, ლარნაკას ქ.№17. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამაცივრე სასაწყობო მეურნეობა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „აისბერგ ფოთის“ 70% წილის მფლობელია შპს „ბ & ჯ“, 30% წილის მფლობელი ფ/პ იგორ მარტინოვი (ყაზახეთი), დირექტორია მიხეილ სულაძე.

4. ჯგუფის საქმიანობა

ჯგუფში შემავალი კომპანიები ახორციელებენ განსხვავებულ სამეწარმეო საქმიანობას.

შპს „ბ & ჯ“ საქმიანობას თავდაპირველად თამბაქოს პროდუქტით, კერძოდ ფილტრიანი სიგარეტით ვაჭრობა წარმოადგენდა, 2011 წლამდე ახორციელებდა დისტრიბუციასაც, 2011 წლიდან კი სიგარეტის იმპორტს და საბითუმო ვაჭრობას. 2014 წლიდან კომპანიამ დაამატა

სიგარელების იმპორტი და საბითუმო ვაჭრობა, 2018 წლიდან ჩვენს ასორტიმენტს დაემატა საღებავი თამბაქო. 2019 წლიდან კომპანიის საქმიანობას დაემატა თუთუნის წარმოება. 2021 წლიდან კომპანიამ დაიწყო საქმიანობის შეცვლა და 2022 წლიდან უკვე აღარ ახორციელებს ზემოაღნიშნულ საქმიანობას. იგი ამჟამად ახორციელებს საიჯარო საქმიანობას.

შპს „აისბერგ ფოთის“ და შპს „ამერიქენ მონოლითი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამაცივრე სასაწყობო მეურნეობა. ტვირთები შემოდის სხვადასხვა ქვეყნებიდან ფოთის ნავსადგურში, მას შემდეგ გადმოგვაქვს ჩვენს საწყობებში შესანახად და მოთხოვნის მიხედვით ტვირთმფლობელისგან ვაგზავნით დანიშნულების ადგილზე. ძირითადი მიმართულებებია შუა აზიის ქვეყნები (ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი). კომპანიები ორიენტირებულია გაფართოებზე. ბოლო პერიოდში აშენდა ახალი საკონტეინერო ტერმინალი, რაც უზრუნველყოფს ტვირთმფლობელებზე სწრაფ და ოპერატიულ მომსახურებას. 2022 წელს კომპანიებში დასაქმებული იყო ჯამურად 258 ადამიანი.

5. შიდა სტრუქტურა

ჯგუფში შემავალ კომპანიებში მკაცრადაა განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და უფლებამოვალეობები. მშობელი საწარმოს, შპს „ბ & ჯ“-ის სტრუქტურა: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელია 5 ფიზიკური პირი. კომპანიას უშუალოდ მართავს აღმასრ. დირექტორი - კონსტანტინე მანაგაძე მთავარი ბუღალტერი: ნინო მჭედლიშვილი ფინანსური მენეჯერი: ნინო ხუციშვილი. წარმოდგენილი გუნდი იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას კომპანიის საქმიანობის წარმართვის პროცესში თავის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჩართულობით საკუთარი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების ფარგლებში. დღეისათვის კომპანიაში 7 ადამიანია დასაქმებული.

6. სამომავლო გეგმები

ჯგუფი მომავალშიც გეგმავს განავითაროს თავისი საქმიანობა, ბაზრის შესწავლისა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით სწორად დაგეგმოს და გაზარდოს თავისი პროდუქციის ასორტიმენტი.

7. რისკ-ფაქტორები

ჯგუფის მთავარი რისკი არასტაბილური სავალუტო კურსია.

8. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

ჯგუფის მენეჯმენტი ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამოიცილოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში ჯგუფში შემავალი კომპანიები მიმართავენ კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადექვატური რეაგირებისათვის. ჯგუფი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია მშობელი საწარმოს შპს „ბ & გ“-ს მართვაზე უფლებამოსილი პირიადმასრულებელი დირექტორი

შპს „ბ&გ“-ს აღმასრულებელი დირექტორი



კონსტანტინე მანაგაძე

საქართველო, ქ. თბილისი, 2023 წლის 30 აგვისტო